საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №584

თბილისი „20“ 06 2018 წ

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2018 წლის 16 ივნისის N735065 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების გამოცხადების პირობების გასაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 ივნისის N575 ბრძანებით ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გამოცხადებული გრიფირებისას წარდგენილ გრიფირების განაცხადებზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მოსაზრების წარდგენის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, დამტკიცდეს „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი“ ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).

ალექსანდრე თევზაძე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას განმცხადებლის მიერ მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს მოსაზრებების განმხილველი კომისიის (შემდგომ - კომისიის) სტრუქტურას, მუშაობის წესს, განმცხადებლის მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადებს, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესს.

მუხლი 2. კომისიის საქმიანობის მიზანი

1. კომისიის საქმიანობის მიზანია „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების გამოცხადების პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 ივნისის N575 ბრძანებით ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გამოცხადებული გრიფირებისას წარდგენილ გრიფირების განაცხადებზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მოსაზრებების წარდგენის უფლების უზრუნველყოფა, მოსაზრებების მიღება, განხილვა და მათზე გადაწყვეტილების მიღება.

2. კომისია თავის საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ წესით.

მუხლი 3. კომისიის სტრუქტურა

1. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის წევრებისა და კომისიის სამდივნოსაგან.

2. ინფორმაციის დაზუსტებისა და კონსულტაციების მიღების მიზნით, კომისია თანამშრომლობს „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების საბოლოო შედეგებზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, გრიფირების კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 29 მაისის N516 ბრძანებით შექმნილ გრიფირების კომისიასთან (შემდგომში - გრიფირების კომისია).

3. განმცხადებლის მოსაზრებების განხილვაში, შესაბამისი რეცენზენტის/რეცენზენტების გარდა, კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ჩართულ იქნენ შესაბამისი საგნის/დარგის დამოუკიდებელი სპეციალისტები.

მუხლი 4. კომისიის სამდივნო

კომისიის სამდივნოს ფუნქციებია:

ა) კომისიის სხდომების ორგანიზება (დღის წესრიგის შედგენა, კომისიის წევრთა და სხვა პირთა მოწვევა და ა.შ.);

ბ) კომისიის სხდომაზე დამსწრე პირთა აღრიცხვა და კომისიის სხდომის ოქმის შედგენა;

გ) კომისიის თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის მიერ მიცემული დავალებების ან/და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგი;

დ) განმცხადებელთა მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების მიღება, დახარისხება, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმება;

ე) ელექტრონული ფოსტის - grifireba@emis.ge ადმინისტრირება;

ვ) კომისიის გადაწყვეტილებების დაინტერესებული პირებისთვის გაცნობა.

მუხლი 5. კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტი

1. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით აკრძალულია რეცენზენტი/განმცხადებელი და კომისიის წევრები იყვნენ ერთი და იგივე პირები ან ერთმანეთის ნათესავები.

2. ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნისას მხარეები ვალდებულნი არიან განაცხადონ ამის შესახებ. ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს კომისიის წევრის აცილების გადაწყვეტილება.

მუხლი 6. განმცხადებლის მიერ მოსაზრების წარდგენა

1. განმცხადებელი უფლებამოსილია, რეცენზიის გაცნობიდან 4 კალენდარული დღის ვადაში, კომისიას თითოეულ რეცენზიასთან დაკავშირებით წარუდგინოს თავისი მოსაზრება.

2. რეცენზიაზე მოსაზრების წარდგენა შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ:

ა) განმცხადებელს მიაჩნია, რომ ქულა და მისი დასაბუთება ერთმანეთთან შეუსაბამოა;

ბ) განმცხადებელი არ ეთანხმება საგნობრივი ჯგუფის რეზოლუციას, რომ მაკეტი არ არის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის ავთენტური;

გ) განმცხადებელი არ ეთანხმება საგნობრივი ჯგუფის დასაბუთებას მაკეტისათვის რეკომენდაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

3. განმცხადებლის მიერ მოსაზრების წარდგენა ხორციელდება ელექტრონულად, გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის ელექტრონულ ფოსტაზე: grifireba@emis.ge.

4. მოსაზრება წარდგენილი უნდა იქნეს შემდეგი რეკვიზიტების დაცვით, პრინციპით ერთი განაცხადი (ID) - ერთი მოსაზრება:

ა) განაცხადის ნომერი (ID);

ბ) კლასი;

გ) კატეგორიის (ქულასთან მიმართებაში კრიტერიუმის (ინდიკატორი ან/და მოთხოვნა) ნომერი, რომელზეც წარდგენილია მოსაზრება; ავთენტურობასთან მიმართებაში - „საგნობრივი ჯგუფის რეზოლუცია"; საგნობრივი ჯგუფის მიერ რეკომენდაციაზე უარის თქმის შემთხვევაში - „უარი რეკომენდაციაზე" ;

დ) დასაბუთებული მოსაზრება.

5. განმცხადებელმა მოსაზრების წარდგენისას უნდა დაასაბუთოს რომ:

ა) რეცენზიაში მითითებული ქულობრივი შეფასება არ შეესაბამება თანმდევ დასაბუთებას, ან

ბ) საგნობრივი ჯგუფის რეზოლუცია ობიექტურად არ ასახავს განმცხადებლის მიერ მაკეტში განხორციელებულ კორექტურას, ან

გ) არ არსებობს საგნობრივი ჯგუფის მიერ რეკომენდაციის გაცემაზე უარის თქმის ობიექტური საფუძველი.

მუხლი 7. კომისიის მუშაობის წესი

1. კომისია იკრიბება სხდომებზე.
2. კომისიას წარმოადგენს და სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში –კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
4. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის სხდომის თავმჯდომარის ხმა. განსხვავებული მოსაზრება დაერთვება ოქმს.
5. კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები.
6. კომისიის სხდომის ოქმში სხდომის მიმდინარეობა შესაძლებელია აისახოს წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით.

მუხლი 8. მოსაზრების განხილვის, გადაწყვეტილების მიღების წესი და ვადები

1. კომისიის მიერ მოსაზრებების განხილვა წარმოებს რეცენზენტისა და განმცხადებლის ვინაობის კონფიდენციალურობის დაცვით.
2. კომისია მოსაზრებებთან დაკავშირებით უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი სახის გადაწყვეტილება:

ა) უარი თქვას მოსაზრების წარმოებაში მიღებაზე, როდესაც მოსაზრების ფორმა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად უცვლელი დატოვოს რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასება;

გ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად გასცეს რეკომენდაცია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესით;

3. კომისია წარმოებაში მიღებულ მოსაზრებებზე გადაწყვეტილებას იღებს მოსაზრებების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4. იმ შემთხვევაში თუ მიღებულ მოსაზრებას კომენტარის სახით არ ახლავს შესაბამისი არგუმენტირებული დასაბუთება, კომისია იღებს გადაწყვეტილებას მიღებული მოსაზრების განუხილველად დატოვების შესახებ.

5. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა კომისიის სამდივნოს მიერ ეცნობება მოსაზრების წარმომდგენს.

6. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობად ჩაითვლება მოსაზრებების წარდგენისას მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე მისი გაგზავნა.

7. კომისია მოსაზრებებს მიიჩნევს საფუძვლიანად და იღებს მათი გაზიარების გადაწყვეტილებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსაზრებებში გამოთქმულ საკითხთან დაკავშირებით მოისმენს/მიიღებს შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის (ან ჯგუფის შესაბამისი სპეციალისტის), გრიფირების კომისიის შესაბამისი საგნის/დარგის სპეციალისტის ან/და სხვა, ამავე საგნის/დარგის სპეციალისტის მოსაზრებებს. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მოსაზრებების გაზიარების და შეფასებაში ცვლილების შესახებ, საკითხის ირგვლივ საგნის/დარგის სპეციალისტების მიერ გამოთქმული ალტერნატიული შეფასებებიდან ერთ-ერთის შერჩევის საფუძველზე.